საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/796

ქ. ბათუმი 23 სექტემბერი, 2022 წ.

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ მარიკა ბერიძისათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 09 აგვისტოს MES 3 22 0000887768 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცა ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ მარიკა ბერიძისათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 19 სექტემბრის N01-08/728 ბრძანება. აღნიშნული ბრძანება ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიზნით გაეგზავნა მარიკა ბერიძეს.

ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვისთანავე სტუდენტს უწყდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი, გამონაკლისი შეიძლება დაიშვას აკადემიური საბჭოს დადგენილებით. ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების მე-17 მუხლის მესამე პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის თანახმად, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დოქტორანტთა მიერ დადგენილ ვადაში (6 ძირითადი სემესტრი და 4 დამატებითი სემესტრი) საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო მიზანშეწონილია და კანონშესაბამისი, მარიკა ბერიძეს შეუწყდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 09 აგვისტოს MES 3 22 0000887768 სამსახურებრივი ბარათის, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ მარიკა ბერიძისათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 19 სექტემბრის N01-08/728 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეუწყდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ მარიკა ბერიძეს (პ/ნ .....), რომელმაც დადგენილ ვადაში ვერ შეასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. ბრძანება აისახოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიებს სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტს, მარიკა ბერიძეს და განთავსდეს მის პირად საქმეში.

4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**